

შეიარაღება და ფორტიფიკაცია, როგორც წყარო ძვ. წ. V-I სს-ის კოლხეთის
ისტორიის შესასწავლად

შალვა გიკაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

არქეოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დიმიტრი ახვლედიანი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2018 წელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის
დეკანს ბატონ გიორგი გვალას
ამავე ფაკულტეტის არქეოლოგიის მაგისტრის
შალვა გიკაშვილის

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცვავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

შალვა გიკაშვილი

2018

აბსტრაქტი

სამხედრო საქმის შესწავლა ადამიანის ცხოვრების სხვა სფეროებთან კავშირში კვლევა-ძიების მეტად ნაყოფიერ ველია.

ნაშრომში განხილულია ძვ.წ V-I სს-ის კოლხეთის სამხედრო ისტორია, ამ საკითხთან დაკავშირებული ახალი წყაროების მეშვეობით (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია შეიარაღებასა და ფორტიფიკაციაზე).

ძვ.წ V-I სს-ის კოლხეთის სამხედრო საქმესა და ისტორიას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი ლიტერატურა ძირითადად სამხედრო საქმის ცალკეულ ასპექტებზეა ორიენტირებული და არ განიხილავს რა გავლენას ახდენდა იგი საზოგადოების ისტორიაზე.

რა გავლენას ახდენდა სამხედრო საქმე ძვ.წ V-I სს-ის კოლხეთის სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე ნაკლებადაა შესწავლილი, რაც კიდევ უფრო აქტუალურს ხდის თემას.

ისტორიული კოლხეთის მთელს ტერიტორიაზე მრავლადაა გამოვლენილი სამხედრო საქმესთან დაკავშირებული არქეოლოგიური მასალა, რამაც შესაძლებელი გახადა, წერილობით წყაროებთან ერთად, განხილულიყო კოლხეთის სამხედრო ისტორია.

არსებულ ლიტერატურაში კოლხეთის სამხედრო საქმე ძირითადად განიხილებოდა ცალკე მოვლენად. ნაშრომის სიახლე და მიზანია იმის კვლევა თუ რა როლი ითამაშა სამხედრო საქმემ და ისტორიამ კოლხეთის ზოგად განვითარებაზე.

ამ ზოგადი მიზანის მისაღწევად განხორციელებულია შემდეგი ამოცანები:

1) სამხედრო საქმესთან დაკავშირებული არქეოლოგიური წყაროების, შეიარაღების სხვადასხვა სახეობების და ფორტიფიკაციასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება და დაჯგუფება გაკეთებულია იმდაგვარად, რომ გაადვილებულია მისი დაკავშირება კოლხეთის ისტორიის ზოგად საკითხებთან.

2) ძვ.წ. V-I სს-ის კოლხეთის შეიარაღებისა და ფორტიფიკაციის მონაცემები შეჯერებულია, სამხედრო საქმესთან დაკავშირებულ სხვა წყაროებთან.

3) შეჯერების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე გაკეთებულია კოლხეთის ისტორიის პერიოდიზაცია.

4) განსაზღვრულია სამხედრო საქმისა და სამხედრო ისტორიის გავლენა ძვ.წ. V-I სს-ის კოლხეთის ისტორიაზე.

სამომავლოდ შესაძლებელია საკითხი უფრო სიღრმისეულად იქნეს შესწავლილი, რათა უკეთ მოხდეს ძვ.წ. V-I სს-ის კოლხეთის სამხედრო ისტორიის შესწავლა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კოლხეთი, სამხედრო ისტორია, სტრატეგია, ფორტიფიკაცია, შეიარაღება, საომარი მოქმედებები.

Abstract

The study of military activities, that is connected with an another field of human life, is a very usefull scientific research.

In this science-related work is researched military history of Colchis in the V-I cc BC through the new sources, that are connected with a military history (Fortification and armament are special attention heeded).

Military history of Colchis in the V-I cc BC has been studied, but it is noteworthy that available literature is about separate aspects of military history and is not researched its effect on the society history.

Effect of military actions on social, political and economical life of Colchis in the V-I cc BC has not been studied well enough. This fact makes a work more actual.

Military archaeological sources have been found on a whole historical area of Colchis. This fact, whith writing sources, made research opportunity of military history of Colchis.

It is noteworthy, that military activities have been studied in other ways so far. Novelty of the work and an intent is to find out what effect had military activities/history on the development of Colchis in general.

To reach this intent have been realized the next tasks:

- 1) Archaeological sources, assortment of armament and fortification sources have been grouped in such a way to connect these sources to Colchis military issues easily.
- 2) Fortification and armament sources of Colchis in the V-I cc BC have been compared to another sources, that are connected with military activities.
- 3) According to this source comparsion, has been made periodization of Colchis.
- 4) Has been defined the effect of military histori and armament on a Colchis history in the V-I cc BC.

It can be possible to study this issue more scrupulously in the future to research military history of Colchis better.

Key words: Colchis, military history, strategy, fortification, armament, military activity.